აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების 2016 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33 779,6 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 878,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 88,4 პროცენტია. შემოსულობის გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის #1226 ბრძანებაში „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისადაც „სახელმწიფო ხაზინის მიერ, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, გადასახადების აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია გადასახადების სახით ერთიან კოდზე ჩარიცხული გადასახადების ფაქტობრივი საგადასახადო ვალდებულებების მიხედვით გადანაწილების შესახებ.“ ანუ შესაბამის ბიუჯეტში თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დეკლარირების შემდგომ პერიოდში, ყოველი თვის 15 რიცხვის შემდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობების ფაქტიური შესრულება შეადგენს 43 567,5 ათას ლარს და შესაბამისად გეგმის შესრულება შეადგენს 129,0 პროცენტს.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 31 266,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 244,1 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 90,3 პროცენტით. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტების გამოკლებით (40 371,3 ათასი ლარი) საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების შემდგომ პერიოდში ჩარიცხვის გათვალისწინებით, შემოსავლების

ფაქტიური შესრულება გაზრდილია 1 562,3 ათასი ლარით ანუ 3,9 პროცენტით. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წელს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილებით (საშემოსავლო გადასახადი 2016 წლიდან ნაწილდება მუნიციპალიტეტებსა და რესპუბლიკურ ბიუჯეტს შორის) მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში საშემოსავლო გადასახადის სახით ჩარიცხულია 3 496,1 ათასი ლარი, ამ პარამეტრის გათვალსიწინებით ზრდა შეადგენს 5 058,4 ათას ლარს შესაბამისად 12,5 პროცენტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2016 წლის პირველი კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 89,0 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 29 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 010,3 ათასი ლარი ანუ გეგმის 86,2 პროცენტი.

საშემოსავლო გადასახადის შესრულებისას მხედველობაში მისაღებია ის გარემობა, რომ მიმდინარე წლიდან საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი შესაბამისი ცვლილებით საშემოსავლო გადასახადი ნაწილდება მუნიციპალიტეტებისა და რესპუბლიკურ ბიუჯეტს შორის, ასევე შეიცვალა რესპუბლიკურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის ჩარიცხვის ვადები და იგი ემთხვევა საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენის ვადას (მომდევნო თვის 15 რიცხვი). შესაბამისად გასულ წელს მიღებული საშემოსავლო გადასახდის ფაქტიურ მაჩვენებელს, რომელიც შეადგენდა 37 984,4 მიმდინარე წელს მიღებული ფაქტიური მაჩვენებელი რეგიონის დონეზე შეადგენს 42 195,9 ათას ლარს და გასული წლის მაჩვენებელს აღემატება 4 211,5 ათასი ლარით.



2. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2016 წლის პირველი კვარტლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 2 266,4 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 3 233,8 ათასი ლარი ანუ გეგმის 142,7 პროცენტი.

სხვა შემოსავლების პირველი კვარტლის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე:

პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშგებო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 1 600,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 038,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 127,4 პროცენტი; შემოსავალი დივიდენდებიდან პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 468,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 468,5 ათასი ლარი, გეგმის 100,1 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 98,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 258,2 ათასი ლარი ანუ გეგმის 262,2 პროცენტი, (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 75,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 171,2 ათასი ლარი ანუ გეგმის 228,3 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 24,9 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 112,2 პროცენტი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების პირველი კვარტლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 269,6 ათასი ლარი;



3. არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2016 წლის პირველი კვარტლის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 405,2 ათასი ლარი, მათ შორის: ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 493,5 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებული ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 905,6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგებისა და ფასეულობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6,1 ათასი ლარი.



4. ფინანსური აქტივების კლება

შ.პ.ს. „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 100 პროცენტიანი და შ.პ.ს. „საოჯახო მედიცინის ცენტრის“ 100 პროცენტიანი წილის გაყიდვიდან, ანუ ფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მიღებული შემოსავლები შეადგენს 228,7 ათას ლარს. (მთლიანი ღირებულება შეადგენს 388,0 ათას ა.შ.შ დოლარს, რომლის გადახდა ხდება კვარტალურად თანაბარი მოცულობით).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2016 წლის სამი თვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაზუსტებული გადასახდელები 34 600,3 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 31 927,9 ათას ლარს, რაც გეგმის 92,3 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის სამი თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის სამი თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2016 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 1 249,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 1 224,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,0 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2016 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 152,9 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 149,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და მასთან არსებული ორგანიზაციებისათვის 2016 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 8 722,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 8 351,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 95,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2016 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 2 362,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 2 184,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 92,5 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2016 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 7 541,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 6 282,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 83,3 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2016 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა

ასიგნებებმა 2 194,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 2 022,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 92,1 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით სამ თვეში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 1 558,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 424,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 91,4 პროცენტია.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდის ხარჯებს, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, 2016 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 10 817,7 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 10 288,5 ათას ლარს, რაც გეგმის 95,1 პროცენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2016 წლის სამი თვის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 1 556,6 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

2016 წლის 13 იანვრის #4 ბრძანების შესაბამისად 27,8 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 13 იანვრის #6 ბრძანების შესაბამისად 23,1 ათასი ლარი გამოიყო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 14 იანვრის #9 ბრძანების შესაბამისად 31,2 ათასი ლარი გამოიყო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

2016 წლის 20 იანვრის #12 ბრძანების შესაბამისად 1,150,0 ათასი ლარი გამოიყო ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობის მიერ შექმნილი ერთობლივი საქმიანობის ბინათმშენებლობის ამხანაგობა ,,წაბლანა 2015''-ის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის თანადაფინანსების მიზნით;

2016 წლის 20 იანვრის #13 ბრძანების შესაბამისად 9,8 ათასი ლარი გამოიყო ილია ბედინაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 3 თებერვლის #21 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი გამოიყო დავით ბეჟანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 3 თებერვლის #22 ბრძანების შესაბამისად 2,7 ათასი ლარი გამოიყო ლაშა დიასამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 თებერვლის #26 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო ილიას ჩაპოღლისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 თებერვლის #27 ბრძანების შესაბამისად 0,8 ათასი ლარი გამოიყო დავით ჯორბენაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 თებერვლის #28 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო ლაშა ლომინაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 5 თებერვლის #29 ბრძანების შესაბამისად 58,4 ათასი ლარი გამოიყო სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევის მიზნით;

2016 წლის 10 თებერვლის #31 ბრძანების შესაბამისად 1,5 ათასი ლარი გამოიყო მანანა ზოიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 15 თებერვლის #33 ბრძანების შესაბამისად 3,0 ათასი ლარი გამოიყო არჩილ დიასამიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 23 თებერვლის #41 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო ქეთი გოგიტიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 26 თებერვლის #42 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო დავით ბახტაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 მარტის #43 ბრძანების შესაბამისად 1,3 ათასი ლარი გამოიყო მუხრან ჯორბენაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 მარტის #44 ბრძანების შესაბამისად 1,0 ათასი ლარი გამოიყო ანრი აბაშიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 4 მარტის #45 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი გამოიყო ეთერ ლაზიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #47 ბრძანების შესაბამისად 12,4 ათასი ლარი გამოიყო რამაზ ტაკიძის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #48 ბრძანების შესაბამისად 6,5 ათასი ლარი გამოიყო გენადი გოგიბერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #49 ბრძანების შესაბამისად 5,5 ათასი ლარი გამოიყო სოფიკო შავაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #50 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გამოიყო დაჩი ტრაპაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #51 ბრძანების შესაბამისად 0,7 ათასი ლარი გამოიყო რევაზ გოგრაჭაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #52 ბრძანების შესაბამისად 2,1 ათასი ლარი გამოიყო გოჩა სოლომონიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #53 ბრძანების შესაბამისად 4,0 ათასი ლარი გამოიყო გულნარა სოლომონიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #54 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი გამოიყო მანანა ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 9 მარტის #55 ბრძანების შესაბამისად 49,9 ათასი ლარი გამოიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობის სახურავის მოწყობის, მთავარ ფასადზე არსებული საჩრდილობლის, წყალსარინი ღარების, შენობის უკანა ფასადზე არსებული განათებისა და სახანძრო კიბის აღდგენითი სამუშაოების ხარჯების დასაფარავად;

2016 წლის 16 მარტის #57 ბრძანების შესაბამისად 6,0 ათასი ლარი გამოიყო ელზა ფუტკარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #58 ბრძანების შესაბამისად 1,9 ათასი ლარი გამოიყო ციალა თხილაიშვილისათვის მედიკამენტ გენექსოლის შეძენის დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #59 ბრძანების შესაბამისად 0,9 ათასი ლარი გამოიყო კობა ბოლქვაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21 მარტის #60 ბრძანების შესაბამისად 1,3 ათასი ლარი გამოიყო დავით შაინიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 21მარტის #61 ბრძანების შესაბამისად 3,5 ათასი ლარი გამოიყო მზია ახალაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 22 მარტის #69 ბრძანების შესაბამისად 0,3 ათასი ლარი გამოიყო ნანა სეფერთელაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #77 ბრძანების შესაბამისად 2,5 ათასი ლარი გამოიყო რევაზ შენგელიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #78 ბრძანების შესაბამისად 1,8 ათასი ლარი გამოიყო მაყვალა ნათიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #79 ბრძანების შესაბამისად 10,0 ათასი ლარი გელა აბუსელიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #80 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო თენგიზ ჩელებაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #81 ბრძანების შესაბამისად 5,0 ათასი ლარი გამოიყო მარინა კონცელიძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 28 მარტის #82 ბრძანების შესაბამისად 1,7 ათასი ლარი გამოიყო იაშა ქავჯარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით;

2016 წლის 30 მარტის #85 ბრძანების შესაბამისად 95,0 ათასი ლარი გამოიყო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მიზნით;

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2016 წლის სამ თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4 638,3 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 4 447,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,9 პროცენტია.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2016 წლის სამ თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 417,6 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 1 417,6 ათასი ლარი;

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურუდიული პირების საწესდებო კაპიტალის ზრდა

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შ.პ.ს. „ჰიგიენა 2009“-ის საწესდებო კაპიტალის ზრდა 4 400,0 ათასი ლარის ოდენობით, აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 20,6 ათასი ლარის ოდენობით.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 3,4 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო 2016 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას, აქედან ორს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს და გარემოსდაცვითი პროგრამას, ხოლო ოთხ პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“: ტყის დაცვა და მოვლა,

ეკოლოგიური განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება, ტყის მართვის დაგეგმვა.

გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას, ამათგან 2016 წლის პირველ კვარტალში გეგმა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთ ქვეპროგრამაში - აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებულ კერებში გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1,3 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ"-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160001282) წყალსატევების აქტიურ დამაბინძურებელ ობიექტებზე წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (210 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 8,4 ათასი ლარი.
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ"-თან (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160001280) ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (132 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 6,6 ათასი ლარი.
3. განხორციელდა ატმოსფერული ჰაერისა და ჩამდინარე წყლების მდგომარეობის მონიტორინგი: ჩატარებული იქნა 16 ატმოსფერული ჰაერის სინჯის ანალიზი და 12 ჩამდინარე წყლის სინჯის ანალიზი, საერთო ღირებულებით 1,3 ათასი ლარი, რაც დაფინანსებულია სრულად.

შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,7%

სსიპ „ აჭარის სატყეო სააგენტოს" ოთხი პროგრამიდან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია მხოლოდ ერთ პროგრამაზე.

პროგრამა - ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლების ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს" შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა".

საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 35,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 5,5 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ ირაკლი აფაქიძესთან (ხელშეკრულება N 01-38/19 10.02.2016 წ. ღირებულებით 0,2 ათასი ლარი) 5 ცალი სამუხრუჭე ხუნდის შესყიდვაზე, საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.

2. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ფ/პ ნოდარ დავითაძესთან (ხელშეკრულება N 01-38/20 10.02.2016 წ. ღირებულებით 0,2 ათასი ლარი) 1 ერთეული სპეცტექნიკის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე. მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რომპეტროლ საქართველო“-სთან (კონსოლიდირებული ტენდერი CON 150000069; ხელშეკრულება N 01-38/01 06.01.2016 წ. ღირებულებით 93,0 ათასი ლარი) დიზელის საწვავის შესყიდვაზე. მიღებული და ანაზღაურებული საწვავის ღირებულება შეადგენს 1,6 ათას ლარს.
4. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „რალი კონტინენტალ“-თან (ხელშეკრულება N 01-38/22 11.02.2016 წ. ღირებულებით 4,5 ათასი ლარი) ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსაურების შესყიდვაზე, გაწეულია 0,3 ლარის ხარჯი.
5. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბასმოტორს“-თან (ხელშეკრულება N 01-38/38 09.03.2016 წ. ღირებულებით 0,1 ათასი ლარი) სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე. საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
6. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბასმოტორს“-თან (ხელშეკრულება N 01-38/48 14.03.2016 წ. ღირებულებით 1,7 ათასი ლარი) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, საქონელი და მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
7. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბასმოტორს“-თან (ხელშეკრულება N 01-38/49 14.03.2016 წ. ღირებულებით 0,5 ათასი ლარი) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, საქონელი და მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
8. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბასმოტორს“-თან (ხელშეკრულება N 01-38/55 16.03.2016 წ. ღირებულებით 0,6 ათასი ლარი) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, საქონელი მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.
9. გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბასმოტორს“-თან (ხელშეკრულება N 01-38/56 16.03.2016 წ. ღირებულებით 0,3 ათასი ლარი) სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, საქონელი და მომსახურება მიღებულია და ანაზღაურებულია სრულად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2016 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრირებისა და მართვის ქვეპროგრამა და ასევე სამი ქვეპროგრამა, ამათგან 2016 წლის პირველ კვარტალში გეგმა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ერთ ქვეპროგრამაში.

ქვეპროგრამის - კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,3 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება არ განხორციელებულა. ვინაიდან ქვეპროგრამის ფარგლებში ღონისძიების - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან არსებული მრჩეველთა საბჭოს და რეგიონში ტურიზმის სფეროს წარმომადგენელთა მონაწილეობით კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზება“ მრჩეველთა საბჭოსთან შეხვედრები ტარდება დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში, და მხოლოდ მასშტაბური შეხვედრითვის ხდება დარბაზის დაქირავება და ხარჯების გაწევა.

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 37,5 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 32,6 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია სხვადასხვა საპრომოციო (სარეკლამო) მასალები;

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება 10 სხვადასხვა ქვეყნაში სარეკლამო კამპანიების წარმოებაზე.

10 ქვეყანაში (ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვია, ბელორუსია, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) დაიწყო და მიმდინარეობს რეგიონის ონლაინ რეკლამირება სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზების ფარგლებში დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა 3 პრეს და ინფო ტური, რომლის საშუალებითაც რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო 28 სტუმარი, მათ შორის: 23 ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი და 5 ჟურნალისტი.

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 6 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

1. თურქეთის ტურისტული გამოფენა - “EMITT -2016”

2. ლიტვის ტურისტული გამოფენა "Adventure 2016"

3. თელავივის ტურისტული გამოფენა- “IMTM-2016”

4. გერმანიის ტურისტული გამოფენა - „ITB Berlin -2016“

5. უკრაინის ტურისტული გამოფენა - “UITT – Kiev 2016”

6. პოლონეთი, (კატოვიცე) ტურისტული გამოფენა - “ Katowice International Fair” (GLOB -2016)

რიგი ღონისძიებები (ტურები, გამოფენები) დასრულდა მარტის თვის ბოლოს და აპრილის დასაწყისში, შესაბამისად თანხის ათვისება მოხდება მეორე კვარტლიდან.

შესრულების პროცენტი: 86,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,0%

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 3,4 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეყნის შიგნით, რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირების მიზნით, ჟურნალ - „საქართველოს რკინიგზის“ პერიოდულ გამოცემაში ხორციელდება რეკლამის განთავსება.

მიმდინარე წლის მარტის თვეში დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება, ღონისძიება - ინტერნეტ რეკლამა საქართველოში.

ღონისძიება - ინტერნეტ რეკლამა საქართველოში წლის დასაწყისში გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა. მეორედ გამოცხადებული ტენდერის შედეგად კი მარტის თვეში დაწყებული სარეკლამო კამპანია გადავიდა აპრილის თვეში. შესაბამისად დარჩენილი თანხის ათვისება მოხდება მეორე კვარტალში.
შესრულების პროცენტი: 68,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,0%

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია სამ ქვეპროგრამაში.

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 106,1 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება – 87,6 ათას ლარს, ქვეპროგრამა ძირითადად მოიცავს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს” შენახვისა და საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირების ხარჯებს, ტურისტული

საინფორმაციო ცენტრების (ქედა, ხულო, შუახევი, ქობულეთი) მოდერნიზაციის მიზნით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელიც დასრულდება აპრილის თვეში.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“ გაწევრიანდა ევროპის სოფლად ტურიზმის ფედერაციაში (EuroGites).

შესრულების პროცენტი: 82,%6

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 18,8%

ქვეპროგრამის - ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება 2016 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4,6 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება შეადგენს 0,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და არსებულ საჭიროებების გადაჭრაზე მიზანმიმართული საკონსულტაციო ღონისძიებების (ტრენინგები) დაგეგმვა-განხორციელების მიზნით 2016 წლის მარტის თვიდან დაიწყო სხვადასხვა ტურისტული ობიექტების თანაშრომლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული ტრენინგები, რის შედეგადაც სხვადასხვა განთავსებისა და კვების ობიექტების თანამშრომლებისთვის ჯამში ჩატარდა 13 ტრენინგი.

ასევე ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით დარგში არსებული სიახლეების შესახებ მიმდინარე წლის მარტის თვეში მომზადდა და გამოიცა პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენის პირველი ნომერი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“, ბიულეტინები დაიბეჭდა 700 ეგზემპლარად და გავრცელდა აჭარის რეგიონის მასშტაბით არსებულ ტურისტულ ობიექტებში.

პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენების ბეჭდვა-მოწოდების შესყიდვის (ტენდერი) შედეგად წარმოიშვა ეკონომია. ბიულეტენების ბეჭდვა-მოწოდება და შესაბამისად თანხის გადახდა ხდება ეტაპობრივად.
შესრულების პროცენტი: 19,6%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 3,9%

ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის 2016 წლის პირველ კვარტალში გეგმა შეადგენს 1,0 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ შექმნილი ხარისხის ნიშნის („რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“) ტურისტული ობიექტებისთვის მინიჭების პროცესისთვის 2016 წლის თებერვლიდან დაიწყო ინტენსიური შეხვედრები განთავსების და კვების ობიექტების წარმომადგენლებთან, შემდგომ მოხდა მათი დარეგისტრირება აღნიშნული პროექტისათვის შექმნილ ვებ-გვერდზე www.recommend.ge. დღეისათვის მიმდინარეობს

დარეგისტრირებულ ობიექტებში მონიტორინგის პირველი ეტაპი. ამასთან პროცესის პარალელურად, მუშავდება საინფორმაციო ფლაერის შინაარსობრივი და ვიზუალური მხარე, რის შემდგომაც მოხდება მისი დაბეჭდვა 5000 ეგზემპლარად, რომლის განთავსებისა და კვების ობიექტებში გავრცელება დაიგეგმა მეორე კვარტალში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო მიმდინარე წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს სამ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ორ ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა და საარქივო საცავების რეაბილიტაცია, რომელთაგან საანგარიშო პერიოდის გეგმა მხოლოდ ერთ ქვეპროგრამაშია.

ქვეპროგრამის - **საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა** საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 85,7 ათას ლარს, შესრულება შადგენს 82,5 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაქირავებულია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას (დასკანერებას), შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 33,6 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი 2016 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გეგმა ოთხ ქვეპროგრამაზეა გათვალისწინებული:

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 600,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 3 582,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- მიმდინარე წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 4 გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მიმდინარეობს დამატებით 4 ღონისძიების პროექტის მომზადება,
- 6 ღონისძიებაზე მიმდინარეობს შესყიდვის პროცედურა,
- 30 ღონისძიებაზე გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 15,8 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 300,0 ათას ლარს, შესრულება - 300,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დასრულდა 2 ხიდის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 3 ახალი ხიდის მშენებლობა და 3-ის რეაბილიტაცია, გამოცხადებულია ტენდერი 2 ახალი ხიდის მშენებლობასა და 4 ხიდის რეაბილიტაციაზე, გამოსაცხადებელია ტენდერი 3 ახალი ხიდის მშენებლობაზე, 4 ახალი ხიდის მშენებლობაზე და 7 ხიდის რეაბილიტაციაზე მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

დასრულდა 13-ისა და მიმდინარეობს 44 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა, 25-ზე გამოცხდებულია, ხოლო 1-ზე გამოსაცხადებელია ტენდერი, 68-ზე მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

დამცავ ზღუდარების მოწყობის ოთხი ღონისძიებიდან ერთის შესყიდვაზე გამოცხადებულია ტენდერი, ხოლო 3-ზე მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 4,6 %

ქვეპროგრამაზე - სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია 2016 წლის პირველ კვარტალში გეგმა შეადგენს 15,0 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება არ განხორციელებულა.

მაღალმთიან რეგიონში თოვლის საფარის გამო სამუშაოები განხორციელდება მეორე კვარტლიდან.

ქვეპროგრამის - საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 729,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 709,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან;

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

გაცემულია საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,1%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 10,6 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2016 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა,

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისთვის 2016 წლის სამ თვეში გათვალისიწნებულია 19,5 ათასი ლარი, საიდანაც საკასო შესრულება შეადგენს 17,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-გან ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 7,5 ათასი ლარი;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების გამოქვეყნების საფასურის გადახდა, რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 0,2 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, პირველი კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 4,4 ათასი ლარი;
4. შპს „აუდიტორული კომპანია იბერ აუდიტ კონსალტინგ“-თან 2015 წლის 20 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N41 ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის ბოლოს წარმოდგენილი სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის (აუდიტორული დასკვნა) მომსახურების შესყიდვაზე თანხის გადარიცხვა განხორციელდა 2016 წლის იანვრის თვეში. საკასო ხარჯმა შეადგინა 2,9 ათასი ლარი.
5. სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიასთან“ 2015 წლის 23 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N22 ხელშეკრულების ფარგლებში 2015 წლის ბოლოს წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურების შესყიდვაზე თანხის გადარიცხვა განხორციელდა 2016 წლის იანვრის თვეში. საკასო ხარჯმა შეადგინა 0,2 ათასი ლარი.
6. 2016 წლის 21 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N10 სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიასთან“ აზომვითი ნახაზების მომზადების თაობაზე საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 1,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,7%
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 25,1%

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2016 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 24,7 ათას ლარს, საკასო შესრულება 24,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2016 წელს დაიწყო რეგიონის საინვესტიციო საპრომოუშენო მასალების განახლება, საპრომოუშენო მასალების გამოცემა განხორციელდება ორ ენაზე, ინგლისურად და რუსულად. გამოცხადებული იქნა ტენდერი ტექსტის და ფოტომასალის დაკაბადონებასა და დიზაინის შექმნაზე, სულ საინვესტიციო პოტენციალის საპროუშენო მასალების მომზადებაზე გაწეულია 8,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „საერთაშორისო საინვესტიციო ტურების ორგანიზების“ ფარგლებში მოეწყო ბიზნეს ფორუმი პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ვროცლავში, სადაც ჩატარდა პრეზენტაციები 100-ზე მეტი პოლონელი ბიზნესმენისთვის, ფორუმის საერთო ხარჯმა შეადგინა 16,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,3 %

ქვეპროგრამის - ეკონომიკური ობსერვატორია 2016 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 5,5 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება 5,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ სამუშაო ჯგუფის ექსპერტებზე გაცემულია ხელფასები. სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი იქნა რეგიონში ეკონომიკური ზრდაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, პრეზენტაციის სახით და განისაზღვრა სამომავლოდ ჩასატარებელი კვლევების მიმართულებები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 9,2 %

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას - **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შედგენა,** რომლის 2016 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 23,8 ათას ლარს, საკასო შესრულება 22,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აჭარის ტერიტორიაზე განთავსებული თვითმმართველი ერთეულების სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების შედგენა. 2015 წლისათვის დასრულდა ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის დოკუმენტებზე მუშაობა, ხოლო მიმდინარე წლისათვის დაგეგმილია ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის დოკუმენტების შედგენა. ამჟამად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების მიხედვით საინფორმაციო და საყრდენი მასალის მოძიება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 15,2 %

პროგრამის - სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 255,2 ათას ლარს, საკასო შესრულება 240,9 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმში თამარის დასახლებაში 58 ბინიანი საცხოვრებელი კორპუსისა და ხულოს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვანის დასახლებაში 72 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობების დასრულება.

ქალაქ ბათუმში 58 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას აწარმოებს შპს „დაგი“. ფაქტიურად დასრულებულია სამონტაჟო სამუშაოები, მიმდინარეობს მოპირკეთებისა და საინჟინრო ქსელებით უზრუნველყოფის სამუშაოები, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 240,9 ათასი ლარი. სამშენებლო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლისათვის.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 94,4%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 11,1 %

პროგრამის - მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობა 2016 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 14,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 13,7 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა პროგრამის ბენეფიციართა - 11 მსესხებლის პროცენტის თანადაფინანსება გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 97,9%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 2,0 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 919,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 859,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს ,,იმერეთი -98“ (ელექტრონული ტენდერი SPA150025592) ბათუმის ბულვარში ნინოშვილის ქუჩის გასწვრივ არსებული დაზიანებული მოზაიკის დემონტაჟი და მის ადგილას ბეტონის დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით - 305,2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 177,7 ათასი ლარი;
2. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „მერაბ კონცელიძე“ (ელექტრონული ტენდერი SPA160000554) სხვადასხვა მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების შესყიდვა ღირებულებით - 22.7 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 22.7 ათასი ლარი;
3. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „მარეთი 777“ (ელექტრონული ტენდერი SPA160000070) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე

სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული სპეციალური ავტოტექნიკის საშუალებებით მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 45.0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 45.0 ათასი ლარი;

4. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/მ „შორენა ქათამაძე“ (ელექტრონული ტენდერი SPA160000555) მცენარეული ნიადაგი (ტყის მიწა) შესყიდვა ღირებულებით - 6.8 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 6.8 ათასი ლარი;

5. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბიოსერვისი“ (ელექტრონული ტენდერი SPA160000556) ორგანული სასუქის (ბიო) შესყიდვა ღირებულებით - 18.0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 18.0 ათასი ლარი;

6. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (ელექტრონული ტენდერი SPA160002070) ბულვარის ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა ბილიკის (პრომინადი) გასწვრივ განლაგებულ გარე განათების ბოძებზე „სექტანტებზე“ დაზიანებული კაბელების შეცვლა, დამიწების კონტურების მოწყობა, საოცრებათა პარკში გარე განათების ელემენტებზე ბეტონის საძირკვლისა და დამიწების კონტურების მოწყობის სამუშაოს შესყიდვა ღირებულებით - 179.5 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 53.8 ათასი ლარი;

7. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აჭარგანათება“ ელექტრონული ტენდერი (SPA150032086) ბათუმის ბულვარში არსებული გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაციის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 199,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 24.2 ათასი ლარი;

8. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ი/ს „ამირან მურვანიძე“ ელექტრონული ტენდერი (SPA150033300) ბათუმის ბულვარში არსებული ზოოკუთხისა და ზოოკუთხის მობინადრეთათვის გასაწევი მომსახურების შესყიდვა ღირებულებით - 55.6 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 13.8 ათასი ლარი;

9. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სანდასუფთავება“ ელექტრონული ტენდერი (SPA150031583) ბათუმის ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების შესყიდვა ღირებულებით - 649.4 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 114.0 ათასი ლარი;

10. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შსს „დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო“ ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ღირებულებით - 602.4 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 150.6 ათასი ლარი;

11. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ორიემი“ ელექტრონული ტენდერი (SPA150024092) ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა ღირებულებით - 118.9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 35.2 ათასი ლარი;

12. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „სასტუმრო სანატორიუმი ოაზისი“ ბათუმის ბულვარის ტოპოგრაფიული გეგმისა და ბათუმის ბულვარის კონცეფციის შემუშავება დაგეგმარების მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 240.0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 48.0 ათასი ლარი;

13. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ბათუმის შადრევნები“ ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექპლოატაციის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 25.9 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 8.6 ათასი ლარი;

14. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ვლს“ ბულვარში არსებული შადრევნების მოვლა-ექპლოატაციის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 17.2 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 17.2 ათასი ლარი;

15. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სს “ენერგო-პრო ჯორჯიათან“ ელექტრო ენერგიის შესყიდვაზე, საანგარიშო პერიოდში გადახდილია 107.2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი - 93,5 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან - 8,3%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2016 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ოთხ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება და აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია მხოლოდ ერთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 368,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 368,3 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 2015 წელს დაწყებული საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. კერძოდ: შუახევის მუნიციპალიტეტის ფურტიოს საჯარო სკოლის მშენებლობა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზედა ჭარნალის საჯარო სკოლის მშენებლობა, ზედა განთიადის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და ქ. ბათუმის N1 საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა. სულ დაფინანსებულია 355,0 ათასი ლარის სამუშაოები.

გარდა ამისა გაწეულია ტექნიკურ ზედამხედველობასა და ექსპერტიზაზე ხარჯი თანხით 10,0 ათასი ლარი, დაფინანსებულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურება 3,3 ათასი ლარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9%
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 6,9%

პროგრამა - განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია სამ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის 2016 წლის სამი თვის გეგმა შეადგენს 45,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 42,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2016 წლის პირველ კვარტალში ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად 30 მასწავლებლის ნაცვლად სულ დასაქმებულია 28 პედაგოგი, რის გამო პედაგოგთა შრომის ანაზღაურების მუხლში შეიქმნა ეკონომია. სულ პედაგოგთა ანაზღაურებაზე გაწეულია 42,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 28,3%

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 50,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 4 სტუდენტის (თორნიკე ჯაში, ნონა დავითაია, ერეკლე მუჯირი, დავით დათუნაიშვილი) 2015-2016 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხარჯები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 18,2%

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1,0 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ გაიგზავნა ერთი სტაჟიორი - ლია ჩხარტიშვილი, რომელიც 2016 წლის 29 თებერვლიდან 2016 წლის 28 აგვისტომდე სტაჟირებას გადის საფრანგეთში, ქ. პარიზში, მუსიკის საერთაშორისო საბჭოში, პროექტის მართვისა და კომუნიკაციის მიმართულებით.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %
შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 9,0%

პროგრამა - განათლების ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს ერთ ქვეპროგრამას, რომელზეც საანგარიშო პერიოდში გეგმა არ არის გათვალისწინებული.

პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს სამ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“ და სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო

უნივერსიტეტი“. საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 247,3 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 237,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - იანვრის-მარტის თვის თანამდებობრივი სარგო.

აუთვისებელი რესურსი 9,9 ათასი ლარი წარმოადგენს შრომის ანაზრაურების მუხლში შექმნილ ეკონომიას, კერძოდ ნაცვლად 120 თანამშრომლისა პირველ კვარტალში ანაზღაურების ხარჯი საშუალოდ გაწეულია 114 ერთეულზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 9,9%

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 50,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

უმაღლესი განათლების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით გაიცა 2016 წლის მარტის თვის შრომის ანაზღაურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 6,3%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2016 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ პროგრამაზე.

პროგრამის - ფოლკლორის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 28,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 25,0 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებული ფოლკლორული ანსამბლებისათვის სასცენო კოსტუმების შეძენის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, სადაც გაიმარჯვა ი/მ „ირმა დიასამიძემ“, გაფორმდა ხელშეკრულება და მოხდა საავანსო ანგარისწორება 25,0 ათასი ლარით.

პროგრამის მხარდაჭერის ხარჯებში გათვალისწინებული იყო 3,0 ათასი ლარის ხელნაკეთი სუვენირების შეძენა. გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა, განხორციელდა ბაზრის დამატებითი კვლევა და მზადდება განახლებული სატენდერო წინადადება.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 89,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 12,5 %

პროგრამის - კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ერთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 87,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 44,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაიგეგმა და წარმატებით ხორციელდება - საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ დაგეგმილი ოფიციალური ტურების ფარგლებში კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც უკვე შედგა პროექტი ქალაქ ვროცლავში, დაგეგმილია თელავივში, მინსკში, ვარშავასა და ასტანაში ღონისძიებები. გამარტივებული ელექტრონული ტენდერით გამარჯვებულ კომპანიასთან განხორციელდა შუალედური ანგარიშსწორება.

ქვეპროგრამით დაგეგმილ სხვა აქტივობებზე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერები. 43,1 ათასი ლარის ათვისება განხორციელდება საანგარიშო წლის ბოლომდე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 50,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 4,1 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2016 წელს ახორციელებს ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება, რომელზეც საანგარიშო პერიოდში გეგმა არ არის გათვალისწინებული.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ახორციელებს სამ პროგრამას, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ოთხი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - სპორტული ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 270,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 268,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამით დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 143 ღონისძიება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 21,6 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 70,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 63,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 80 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,3 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 17,1 %

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 140,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 127,3 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 10 სასწავლო-საწვრთნო შეკრება წყალბურთში, ხელბურთში, ფეხბურთში, ინდორ ჰოკეიში, ფრენბურთში და რაგბში. ჩატარებული ღონისძიებების ანაზღაურების მიზნით გაწეული იქნა ხარჯი 101,6 ათასი ლარის ოდენობით. სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით. ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 9 კოორდინატორი. მწვრთნელებისა და კოორდინატორებისათვის გათვალისწინებული იქნა ყოველთვიური ანაზღაურება. სულ გაცემული იქნა კოორდინატორებზე და მწვრთნელების მომსახურების ანაზღაურება 25,7 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 21,5 %

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 33,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 29,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2016 წლის სამი თვის განმავლობაში ყოველთვიური 187,50 ლარიანი დახმარება გაეწია 49 ბენეფიციარს (27,6 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 4 ბენეფიციარს - სულ თანხით 2,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 22,2 %

პროგრამის - ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 93,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 38,4 ათას ლარს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წლის განმავლობაში 11 ღონისძიების ორგანიზება. მათ შორის პირველ კვარტალში 6 ღონისძიების ორგანიზება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. ინტელექტუალური თამაშების ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა აჭარის სასკოლო ჩემპიონატის სამი ეტაპიდან ორი ეტაპი. ჩატარდა აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის ინტელექტუალური თამაშები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 300-მდე მოსწავლე. სულ საანგარიშო პერიოდში გაწეულია 6,9 ათასი ლარი, ხოლო ნაწილი თანხის ანაზღაურება განხორციელდება აპრილის თვეში.

2. ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერის ღინისძიებაში გათვალისწინებული კლუბების ღონისძიებების ორგანიზებაზე დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერები, რომელთა დასრულების შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულებები და ღონისძიებების ორგანიზება დაიწყება მეორე კვარტალში.
3. მხიარული რეგიონი - აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 90 ახალგაზრდამ, ღონისძიებას ესწრებოდა 820-ზე მეტი მაყურებელი; ღონისძიების გამარჯვებული გუნდი გაემგზავრა ორდღიან ექსკურსიაზე ტაო-კლარჯეთში. აღნიშნული ღონისძიების პირველი კვარტლის ხარჯმა შეადგინა 16,5 ათასი ლარი.

4. ფორუმი ,,რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი" - ღონისძიებაში ჩართული იყო და მონაწილეობდა აჭარაში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების 50 სტუდენტი. აღნიშნული ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 15,0 ათასი ლარი, აუთვისებელი 7,0 ათასი ლარი გამოწვეულია ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად ღონისძიების ორგანიზების ფასის შემცირებით.

ერთჯერადი თავისუფალი პროექტებისა და უცხოეთში სხვადასხვა ტრენინგ სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილე სტუდენტ ახალგაზრდების მხარდაჭერის ღონისძიებებზე დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა გაწეული ხარჯი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული საკითხების დაუზუსტებლობის გამო.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 41,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 8,9 %

ა(ა)იპ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ახორციელებს ერთ პროგრამას - 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: ა(ა)იპ 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მართვისა და 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მზადების ხელშეწყობა.

2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მზადების ხელშეწყობის ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 437,5 ათას ლარს, დაფინანსება არ განხორციელებულა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2016 წელს ახორციელებს რვა პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომოგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 225,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 222,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 582 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 278 , ხოლო 304 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,1 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 13,9 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 267,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 267,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 171 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 82, ხოლო 89 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 20,5 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 65,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 62,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 37 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 16, ხოლო 21 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 20,8 %

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 110,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 107,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 546 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 331, ხოლო 215 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 17,9 %

ქვეპროგრამის - ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 95,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 94,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 381 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 129. ხოლო 252 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 13,5 %

ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 5,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 67 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 22. ხოლო 45 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას. აუთვისებლობა გამოწვეულია მოსახლეობის დაბალი მომართვიანობის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 10,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 1,5 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 195,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 188,4 ათას ლარს.

თემის სამედიცინო პუნქტის 228 სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული სამედიცინო დახმარების (ვიზიტების) რაოდენობამ, როგორც სამედიცინო პუნქტში ასევე ბინაზე, შეადგინა 64 514. ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 170,8 ათასი ლარი. თემის სამედიცინო პუნქტებს გადაეცათ 17,6 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,0 %

ქვეპროგრამის - სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 67,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 65,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ექიმებთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილი სიების მიხედვით, 2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით ხელშკრულება გაფომებულია 107 ექიმთან.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,2 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,3 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია სამ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 72,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 71,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 740 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 308. ხოლო 432 ბენეფიციარი აგრძელებს რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 14,7 %

ქვეპროგრამის - სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 20,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 16,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 172 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 94. 78 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 83,5 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 11,1 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 43,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 33,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 241 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 233. ხოლო 8 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,8 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 19,4 %

პროგრამა - მოსახლეების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 38,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 38,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 38 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 76,0 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 40,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 39,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 20 ახალშობილი ტყუპის ოჯახს, 39 ახალშობილ ტყუპებისათვის.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,5%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 26,0 %

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 23,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 22,0 ათას ლარს.

ომში დაღუპულთა დედებსა და მეუღლეებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი. ერთ ბენეფიციარზე მუნიციპალიტეტმა ვერ წარადგინა ინფორმაცია, რის გამოც წარმოიქმნა ეკონომია 1,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,7 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 27,5 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 121,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 54,1 ათას ლარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან 31 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 109,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 54,1 ათასი ლარი, ასევე გამოყოფილია 1 პაციენტის მედიკამენტისა და 1 პაციენტისათვის ინპლანტანტის შესაძენად 11,9 ათასი ლარი. სხვაობა 67,1 ათასი ლარი გამწვეულია პაციენტების მიერ მკურნალობის ანგარიშის საანგარიშო პერიოდში წარმოუდგენლობის გამო, მათი დაფინანსება განხორციელდება მომდევნო პერიოდში.

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 50,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 50,0 ათას ლარს.

საანგარიშგებო პერიოდში სრულად დაფინანსებულია სმენადაქვეითებულ პირებზე 197 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 41,7 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებების უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 15,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 14,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 50 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 48.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,0 %

პროგრამის - მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 31,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 26,9 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა მომართვიდან გამომდინარე ქვეპროგრამაში ჩართულია 20 ბენეფიციარი. 26,9 ათასი ლარით დაფინანსდა მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,8%

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 21,7 %

საანგარიშო პერიოდში გეგმა არ არის გათვალისწინებული **ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით.**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხვრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის -დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანაგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 44,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 44,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა.

1. აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 150 კერის კვლევა შესაბამისი 185 ვიზიტით, მ.შ.ბათუმი – 99 კერა, 120 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 28 კერა, 31 ვიზიტი, ხელვაჩაური – 18 კერა, 29 ვიზიტი, ქედა – 4 კერა, 4 ვიზიტი, შუახევი – 1 კერა, 1 ვიზიტი.

2. ცოფზე საეჭვო კერაში განხორციელდა 35 ვიზიტი; ხოლო ვეტსამსახურში 84 საკომუნიკაციო ვიზიტი სულ 119, მ.შ. ბათუმში – 26 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 60, ხელვაჩაური –1, ქედა – 14, შუახევი – 8, ხულო – 10 ვიზიტი.
3. თებერვლის თვიდან დაიწყო და მიმდინარეობს რეგიონის მალარიოგენული ტერიტორიის პასპორტიზაცია, აღირიცხა: ბათუმში – 67.6 ჰა, მ.შ. ანოფელოგენური 61.4 ჰა, ქობულეთში - 249.3 ჰა, მ. შ. ანოფელოგენური - 165.1 ჰა, ხელვაჩაურში –116,0 ჰა,მ.შ. ანოფელოგენური 100,0 ჰა.
4. ცხოვრების ჯანსაღი წესის კომპონენტის ფარგლებში მომზადდა ფლაერები თემაზე ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამები", ცხოვრების ჯანსაღი წესის კომპონენტის ფარგლებში რეგიონის სკოლებში განხორციელდა 5 ვიზიტი, 17 შეხვედრა, მსმენელი - 426.
5. მომზადდა ვიდეორგოლი - „ტუბერკულოზი განკურნებადია“.

ბ) მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რეგიონის 26 საჯარო და კერძო სკოლაში და 4 საბავშვო ბაღში ვიზიტები, მ.შ. ბათუმში –26 ვიზიტი, 2 399 ბენეფიციარი, ხელვაჩაურში - 2 ვიზიტი, 172 ბენეფიციარი. ქობულეთში - 2 ვიზიტი, 180 ბენეფიციარი. სკრინინგი გაიარა სულ 2 751-მა ბენეფიციარმა, მ.შ. 373-მა ბაღის აღსაზრდელმა. ჩატარდა სულ კონსულტაცია - 11 004.

გ) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სულ 376 კვლევის თანადაფინანსება, მ.შ. I ეტაპის კვლევა – 166, II ეტაპის –119, III ეტაპის – 49, IV ეტაპის – 42, მკურნალობის პროცესის მონიტორინგის მიზნით ჩატარდა 355 გამოკვლევა. მოსახურება გაეწია სულ 287 ბენეფიციარს, მ. შ. 169-ს ჩაუტარდა მკურნალობაში ჩართვამდე საჭირო გამოკვლევები, ხოლო 118-ს მკურნალობის პროცესის მონიტორინგით განსაზღვრული კვლევები.

დ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 0–200000 სარეიტინგო ქულის მქონე 7 ორსული (ხულოში).

ე) კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში

საანგარიშო პერიოდში აჭარის მაღალმთიანეთში განხორციელდა 2 ვიზიტი (ქედა). ღონისძიებით ისარგებლა 95–მა ბენეფიციარმა.

ვ) სმენის სკრინინგი ახალშობილებში

საანგარიშო პერიოდში სმენის პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა - 87 ახალშობილს. მათ შორის: ქობულეთი - 67, ქედა - 5, ხულო - 15.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 9,4 %

დასაქმების ხელშეწყობის მხვრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია მხოლოდ დასაქმების ხელშეწყობის მართვის ქვეპროგრამაზე, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2016 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის, მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისა და მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა მოიცავს სამ ქვეპროგრამას. საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია ორ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 392,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 323,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროინვესტსერვისთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-150035341) მცირე მექანიზაციის 292 ტექნიკური საშუალებების შეძენაზე (160 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი; 37 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და სეგმენტურთათებიანი სათიბელა; 45 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და კარტოფილის სარგავი (სასუქის შემტანი); 5 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და ნიორის სათესი და 45 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი (ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 5.2 კვტ (7 ცხძ), ძალამრთმევი ლილვით) დაკომპლექტებული ნიადაგდამამუშავებელი აგრეგატებით: ფრეზი–კულტივატორი, ნიადაგის შემომყრელი (კვალგამყვანი), კარტოფილის ამომთხრელი და ნიადაგის დისკური შემომყრელი) სახელშეკრულებო ღირებულებით - 1 035,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გადახდილია 310,5 ათასი ლარი, რაც მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხას.

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „აგროინვესტსერვისთან“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-160004351) მოტობლოკის მისაბმელი ურიკების მოწოდებაზე (ტვირთამწეობა არანაკლებ –0,5 ტ) სახელშეკრულებო ღირებულებით - 43,4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების თანხა 13,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წლის გეგმით გათვალისწინებული 1 308,1 ათასი ლარიდან სახელმწიფო შესყიდვების შედეგად გაფორმდა 2 ხელშეკრულება ღირებულებით 1 078,4 ათასი ლარი, შესყიდვების შედეგად ეკონომიამ შეადგინა 229,7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული იყო წინასწარი ანგარიშსწორებისათვის 392,4 ათასი ლარი. ხოლო დაფინანსდა - 323,5 ათასი ლარი. სხვაობა 68,9 ათასი ლარი წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად შექმნილი ეკონომიაა.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,4 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 24,7 %

ქვეპროგრამის - ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 63,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 63,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს „ალიგატორი 1“ (ელექტრონული ტენდერი (SPA-160000560) 100 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატების მოწოდებაზე სახელშეკრულებო ღირებულებით - 122,0 ათასი ლარი, საიდანაც საანგარიშო პერიოდში გადახდილია 63,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 30,0 %

პროგრამა - მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს სამ ქვეპროგრამას, რომელთაგან პირველ კვარტალში გეგმა გათვალისწინებულია ერთ ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა ფერმერულ მეურნეობებში საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 276,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 270,7 ათას ლარს.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA- 150034743) გამარჯვებულთან 2016 წლის 3 თებერვალს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ი/მ კორნელი მებუკიასთან ღირებულებით 38,5 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 41 000 ცალი თხილის (ჯიში - ბერძნული) ნერგი და შესაბამისად გადაცემულია ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ნერგები. ვინაიდან თხილის ნერგის მომწოდებელი არ იყო დღგ-ს გადამხდელი, ხელშეკრულების შესაბამისად ანგარიშსწორების თანხა შემცირდა 5,9 ათასი ლარით და მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 32,6 ათასი ლარის ოდენობით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-150035147) გამარჯვებულთან 2016

წლის 28 იანვარს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „მწვანე ოსტატთან“ ღირებულებით 158,4 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 19 800 ცალი ამერიკული ლურჯი მოცვი. მიმდინარეობს გადაცემა ამერიკული ლურჯი მოცვის ბაღის გაშენების მსურველ ფერმერბსა და აგრომეწარმეებზე. შესაბამისად განხორციელდა ანგარიშსწორება მომწოდებელთან 158,4 ათასი ლარით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-160008072) გამარჯვებულთან 2016 წლის 23 მარტს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „სოლარი +“-თან ღირებულებით 29,7 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია მოწოდებული 19 800 მეტრი მულჩფირი და მიმდინარეობს ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაცემა. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 29,7 ათასი ლარის ოდენობით.

გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA-160006492) გამარჯვებულთან 2016 წლის 18 მარტს გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „წყლისა და გაზის ტექნოლოგიებ“-თან ღირებულებით 50,0 ათასი ლარი, რომლის თანახმად მოწოდებულია 158 040 მეტრი სარწყავი მილი და 70 500 ცალი საწვეთურები სარწყავი მილებისათვის და მიმდინარეობს ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემა. მომწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 50,0 ათასი ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,9 %

შესრულების პროცენტი წლიურ გეგმასთან: 23,9 %

პროგრამაზე - მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის პირველ კვარტალში გეგმა არ იყო გათვალისწინებული.